

ყოველ დღე ორშაბათს გარდა

# ფრთხილ

ცალკე ნომერი ღირს შაურათი

განცხადება: მიიღება ქართულს, რუსულს, სომხურს და სხვ. ენებზე.

ფასი განცხადებებისა: ღირსი მასალებით ასობზე—1 კაპ., ასო-მთავრულით სტრიქონზე—8 კაპ., ჩვეულებრივის ცრუერთი—5 კაპ., პატარა—4 კაპ.

რედაქციას უშუალოდ აქვს გაასწოროს და შეამოკლოს დასაბეჭდად გამოგზავნილი სტატიები. დაუეჭვადი სტატიები ავტორს არ დაუბრუნდება.

რედაქცია: სოლოლაკზე, სერგეის ქუჩაზე, ივ. ამირალოვის სახლში, № 8.

კანტორა რედაქციისა: სერგეის ქუჩაზე, ივ. ამირალოვის სახლში, № 8.

ხელის-მოწერა მიიღება კანტორაში. ბარეზე მცხოვრებთათვის: ВЪ Тип. шт. ВЪ редакцію газ. „Дროზა“.

გაზეთის ფასი: მთელის წლია—8 მან., ნახევარ წლია—4 მან. და 50 კაპ., ოთხის თვის—3 მან.

## ტელეგრაფები

(ხალხთა-შორის ტელეგრაფის სააგენტოსი)

**ლონდონი, 13 მაისს.** ზუშინ მინისტრების რჩევას შუველოვის წინადადებაზედ ჰქონდა ლაპარაკი; დღესაც ამ საგანზედ სჯიან. „Standard“-ის სიტყვით, მშვიდობიანად საქმის გათავების იმედი არის. რუსის იმპერატორი უეჭველად თხოულობს ბესსარაბიის დათმობას; მაგრამ თანახმაა ბოლგარიის სამზღვარი შეამციროს; შეიძლება, რომ რუსეთი დათანხმდეს კონტრიბუციის ფულის ნახევარის ან უფრო მომეტებულის დათმობაზედ.

**ვენა, 13 მაისს.** დარწმუნებით ამბობენ, რომ კონგრესი შეიკრიბება.

**ლონდონი, 13 მაისს.** ბრიტანიის სამხედრო სამინისტრომ აცნობა ჩატამის არსენალს, რომ, რადგან ყველა ჯავშინიანი ხომალდები ჯეროვანად დაიარაღებულნი არიან, ამიტომ აჩქარება საჭიროა აღარ არისო. ინგლისი მოუღებს ბოლოს მოლაპარაკებას, რადგან რუსეთმა თავის უკანასკნელი სიტუაცია სთქვა.

**სტამბოლი, 12 მაისს.** ჩერაგანის სასახლესთან ხალხის გროვას ის განზრახვა ჰქონდა, რომ სულთანი ზამიდი გადაეყენებინათ ტახტიდან და მის ნაცვლად აღრინდელი სულთანი მურადი აეყვანათ მსმალეთის ტახტზედ. 200 დაიარაღებული კაცი მიადგა ჩერაგანის სასახლეს და დაიწყეს ყვირილი: „ზაუშარჯოს სულთანს მურადსაო!“ ჯარმა გაჰფანტა ხალხის გროვა. ამბობენ, რომ სულთანი მურადი მცირე აზიაში გაგზავნესო.

**ლონდონი, 13 მაისს.** ბრაუ შუველოვმა აუხსნა ინგლისის უცხო ქვეყნის საქმეთა მინისტრს სალსბიურის რუსეთის მოთხოვნებიანი, სანამ ამაზე პასუხს არ მიიღებენ, ეს მოლაპარაკება საიდუმლოთ დარჩება.

**პეტერბურლის ბიკა, 13 მაისს.**

(ხალხთა-შორის ტელეგრაფის სააგენტოსი)

ლონდონი	—	23	75	„	„
პეტერბურგი	—	119	—	50	„
პარიზი	—	202	„	„	„
პარიზი	—	248	—	75	„
შინაგანი: 50% სესხის ბილეთები					
პირველი სესხის	—	—	236	—	51

მეორე სესხის — — — 227—77

ბანკის ბილეთები:

პირველი გამოცემის	—	97	—	75
მეორესი	—	95	—	50
მესამესი	—	95	—	25
მეოთხესი	—	95	—	25
აღმოსავლეთის	—	94	—	75
ოქრო, 1/2 იმპერიალი	—	8	—	36

## საქართველო

ერთი შენიშვნა „ოზორს“

ჩვენს გაზეთში გამოცხადებული იყო ამას წინათ, რომ როგორც საზოგადოთ სხვა „სარგებლიანი ქალაქები“ და ბანკის ბილეთები დავარდნენ, ისე ჩვენი საადგილ-მამულო ბანკების გირაოს ფურცლებსაც დააკლდათ ფასი-მეტეჟი, რადგან ერთის მხრით ომიანობის გამო და მეორეს მხრით, იმ უწყსოების და გაცარცვის გამო, რომელიც ასე ხშირად ხდება ამ უკანასკნელ დროს რუსეთის ბანკებში, ხალხი დაფრთხა, აღარ ენდობიან საზოგადოთ ბანკებს, აღარ ყიდულობენ იმათ ბილეთებს და ფურცლებს-მეტეჟი. ბაზეთი „ოზორი“ ამ შენიშვნის თაობაზედ გვეუბნება ახლა, რომ ეს ტყუილი მოსაზრება არისო, საადგილ-მამულო ბანკების ბილეთებს, პოლიტიკური ეკონომიის პრინციპის ძალით, ქალაღლის ფულისა და სხვ. არა-საადგილ-მამულო ბანკების ბილეთების დაცემის დროს, შედარებით, თან-და-თან უნდა მოემატოს ფასიო, რადგან მიწის, როგორც ოქროსა და ვერცხლს, ფასი არ აკლდებაო. „რამდენიც უფრო დავარდება ქალაღლის ფულის ფასი, იმდენათ უფრო აიწევს ფასი საადგილ-მამულო ბანკების გირაოს ფურცლებისაო.“

ამის გამო ის ურჩევდა ჩვენი ბანკების გირაოს ფურცლების პატრონებს, რომ ნუ აჩქარდებიან და ნუ გაჰყიდიან იაფ ფასად თავის გირაოს ფურცლებს.

პრინციპით, თეორიით ეს, რასაკვირველია, მართალია; მართალია, რომ მიწას, ანუ იმის წარმომადგენელ გირაოს ფურცლებს, ფასი ისე, როგორც ოქროსა და ვერცხლს, არ უნდა აკლდებოდეს.

მაგრამ „ოზორის“ ანგარისზე რა დალიოდეს ბირჟა, მაშინ ჩვენი ბანკების გირაოს ფურცლებიც 90 მანეთად კიარუნდა იყიდებოდეს, არამედ უნდა იყიდებოდეს უკანასკნელ თხუთმეტ თუმნად, თუ მივიღებთ მხედველობაში იმ გარემობას, რომ ოქრო, რომელიც აღრე 6-7 მანეთზე მეტად არ ფასობდა, ახლა 8-9 მანეთად გადის, და მაშასადამე ქალაღლის ფულს თითქმის ნახევრად დააკლდა ფასი, ე. ი. ქალაღლის ბანკთა სამაზ-თოთხმეტ შაურს ზევით აღარ გადის.

ჩვენ გვაკვირვებს კიდევ „ოზორისაგან“ ის რჩევა, რომელსაც ის აძლევს ჩვენი ბანკების გირაოს ფურცლების პატრონებს, რომ ნუ აჩქარდებიან, ნუ გაჰყიდიან თქვენს ფურცლებს, მაგ ფურცლებს ფასი თუ მოემატება; თორემ არ დააკლდებაო.

გვაკვირვებს იმიტომ, რომ „ოზორმა“ ეს რამდენიმე თვეა თითქმის მუდამ დღე სწორეთ გავიჭედა ყური ყაყანით, რომ ჩვენი ბანკები დღეს-ხვალ დაიღუპებიან, იმათი გამგებელნი მიდგომით, არაგებენ ბანკის ფულსაო, ბანკთა საქმეები საძაგლად მიჰყავთო, და ს. კ. და სხვ.

თუ „ოზორის“ ჰაზრით, მართლა ამისთანა მდგომარეობაშია ჩვენი ბანკები, თუ იმათ ისეთი გამგებელნი ჰყავთ, რომ მალე იმათგან ამ ბანკების დაღუპვას უნდა მოველოდეთ, მაშინ გირაოს, ფურცლების პატრონები, რასაკვირველია, კარგს იზმენ, რომ აჩქარდნენ, რომ რაც შეიძლება მალე გაასაღებდნენ თავიანთ ფურცლებს, არათუ 90 მანეთად, არაჰედ ნახევარ, მეოთხედ ფასათაც.

მეორე მხრით, თუ ჩვენი ბანკების გირაოს ფურცლები არ დაიწვევენ, არამედ ფასს მოიმატებენ, ეს იმას ამტკიცებს, რომ ამ ბანკების საქმე ისე ტუდათ არ მიდის, როგორც თვითონ „ოზორი“ იწერება, როგორც ის მუდამ დღეაგვარ-წმუნებს.

ჩვენ ჩვენი ჰაზრი ამ საგნის თაობაზედ გამოგვიცხადებია და ახლა არაფერს უმატებთ. ეს შენიშვნა ჩვენი ბანკების გამგებელთ გამოსარღება არ არის.

ჩვენ გვინდოდა გვეჩვენებინა მკითხველისათვის, რომელიც იმის გამო „ოზორი“ ანგარისს და ანგარისს შემთხვევაში უეჭველად უნდა სტყუროს. მ.



დღიური

როგორც გუშინდელი „ძვეჯანის“ გამოცხადება გვაცნობებს, ჩვენი ერთადერთი სამეურნეო ლოკინის შკოლა დაუხურავთ, რადგან ძვეჯანის სამეურნეო საზოგადოებისაგან დანიშნულმა კამისიამ გადაწყვიტა, რომ ეს შკოლა ცუდს, მოუთავსებელ ალაგას არისო და იმისაგან თითქმის არავითარი სარგებლობა არ გამოდისო.

ამ მოკლე ხანში სხვაგან სადმე უფრო მოხერხებული ალაგას უნდა გაიმართოს სამეურნეო შკოლა.

ლოკინის შკოლის შაგირდები კი ზოგი ძალაქში გადმოიყვანეს აკლიმატიციის ბაღში, ზოგი მდების ბაღოსნობის სასწავლებელში გაგზავნეს და მომეტებული ნაწილი კი შინ დაითხოვეს.

ამ გაუწყნარებელი წვიმების შემდეგ, რომელმაც გასული თვის დამლევს და ამ მაისის პირველ რიცხვებში სული შეგვიწუხა, ახლა საშინელი, ნამდვილი აგვისტოს სიცხეები დადგა ჩვენს ქალაქში.

ჩვენი ქვეყნის ყველა მხრიდან გვწერენ, რომ წელს ძალიან კარგ მოსავალს მოველითო; განსაკუთრებით თივის სიუხვეს ამბობენ; წვიმების წყალობით კლდეებზედაც კი მუხლებამდინ ამოვიდა ბაღახიო. თივის სიიფეს წელს მაინც-და-მაინც არ უნდა მოველოდეთ, რადგან, როგორც მოგვხსენებთ, თითქმის მთელი საქართველოს საქონელი სანახევროდ გაწყდა და ამნაირად საზიდა-

ვი საშუალება მოსპობილია. ძვეჯანის ახლოლოგიური საზოგადოება აცხადებს, რომ ამ ზაფხულის განმავლობაში იმისაგან იპერეთში (შორაბნის უფლებში) და მეთში ძაზბეკის მახლობლად იგზავნება უ. ბაიერნი ძველი სასაფლაოების სათხრელად.

„დროების“ კორექსორდენცია

ჰვირილა, 10 მაის. შეიღს მაისს ჰვირილაში დაარსდა გამსესებელ-შემნახველი ამხანაგობა, რომლის წესდება წარსული წლის ივლისის თვეში იყო დამტკიცებული ფინანსის მინისტრისაგან. დამარსებელი ამხანაგების რიცხვი იყო ორმოცი მაგრამ განხნის დღეს კიდევ მოგმატა ცამეტი ამხანაგი.

მრჯერ იყვნენ მოწოდებულნი ამხანაგობის განხნისათვის დაამარსებულნი, მაგრამ ძლიერ ცუდი ამინდებისა გამო ვერ შეიკრიბნენ. შეიღს მაისსაც, ცუდი ამინდისა გამო, ვერ მოვიდნენ ყველანი, მაგრამ იმდენი მაინც შეიკრიბნენ, რამდენიც საჭირო იყო სხდომის მოხთვისთვის. იმ ამხანაგებს, რომელთაც კარგად არ იცოდნენ ამხანაგობის მნიშვნელობა, რამდენჯერმე აუხსნა მღვდელმა დ. ლამაშიძემ ძალა წესდებისა.

ჰრილობამ მიიღო ცამეტი ამხანაგი ახლად შემოსულნი.

ბოლოს აღირჩიეს წევრნი როგორც სამმართველოსი, ეგრეთვე რჩევისა. სამართველოს წევრებათ დაფარული კენჭის ყრით იყვნენ აღრჩეულნი მღვდელი დ. ლამაშიძე, გლენი: ა. პარღიშვილი და მ. ახრახანაძე. რჩევის წევრებად აღირჩიეს: ჰვირილის ორკლასიანი სასწავლებლის სმოტრიტელი უ. მ. იოსელიანი, ახნა-

ურნი ი. შავთარაძე, ილია ჩახვიძე, დიაკონი შ. ბეველსიანი და ვიქტორინა საჩინო ხუსკივაძე და მ. ი. ბეველსიანი. განხნის დღესვე წილის ფულები შეიკრიბა ოცდა ექვსი წევრისაგან 275 მ. ამხანაგობაში ბევრი ისეთი პირები ურევიან, რომელთაც მხოლოდ მისთვის მიიღეს მონაწილეობა, რომ დაეხმარონ საქმეს და გააგებინონ გლენებს—თუ ამისთანა საზოგადოებას რა დიდი სარგებლობის მოტანა შეუძლია ჩვენი გლენებისთვის, რომელთაც ისე უჭირსთ ფულის შოვნა გადასახადის დროს, რომ თითო ჩაფ ტკბილ ლენოს წინდაწინ ექვს შაურათ და ორ აბაზათ ყიდიან, და ისინი, ვინც ყიდულობენ ასე დაბალ ფასათ, ორ-ორ მანეთად ყიდიან მის ჰურშივე და ამნაირად გაჭირებული გლენი ორ აბაზში სარგებელს რვა აბაზს აძლევს.....

მტერთმა იწებოს, რომ ამ ამხანაგობის საქმე კარგად წახსულიყოს, და სხვანაც განხნილიყოს ამ უფლებში... X.

ოქის აზვები

ოქის შემდეგ

„Indép. Belge“-ში დაბეჭდილია შემდეგი ტელეგრაფმა ბერლინიდან 6 მაისს მიღებული:

„ამ ვამად უფრო მომეტებული იმედი არის, რომ ინგლისსა და რუსეთს შუა განხეთქილება მშვიდობით გათავდება.

„ამბობენ, რომ ყველა სახელმწიფოები გაგზავნიან თავიანთ ჯარებსა და ფლოტს სტამბოლში და შეძლევეც ცდებიან, რომ მონგრესსი მოხდეს და ამნაირად მორიგება ჩამოვარდესო.“

ველტონი

ლონდონის მაფანალოები

(მოთხრობა)

მრთი ღამე ქურდებს შორის

შინც ლონდონის სისაწყლის აღწერას მოინდომებს, კარგა ხანს ექნება საწერი. ამ საგანზე ჰქონდათ ლაპარაკი ჩემზედ უფრო წერაში დახელოვნებულ პირებსა, მხოლოდ, რაოდენათაც მე ვიცი, ვინც დასწერეს რამე ამ საგანზე, ერთი და იგივე გზით გაიცნეს საგანი: ისინი იყვნენ ღარიბების სახლებში, იმათ დაიარეს ღარიბების თავ-შესაფარებელი და სამოწყალი სადგომები, ნახეს იქ მყოფნი მღვდურნი და ამის შემდეგ დაჰბეჭდეს თავიანთ შთაბეჭდილება.

მე კი მე თვითონ ვისურვე გამოძეცადნა და როგორც ნამდვილი მაწანწალა, მავე შემესწავლა ცხოვრება და ხასიათნი ლონდონში ჩემი თანამოძმეებისა.

მრთმა პოლიციის აგენტმა მასწავლარო ყველაზე ადვილი და საუკეთესო საშუალება, რომ მათ სადგმურში ვინმე მიიღონ, არის სიმთვრალისათვის პოლიციის ხელში ჩაყარდნა.

პირველ შემთხვევაში, სიმთვრალისა, თვის, დამნაშავე დაიხვება მით, რომ ერთ ღამეს გაატარებს ღარიბების სადგომში და მეორე დღეს დილით წაიყვანებენ მოსამართლის წინაშე, რომელიც გარდაუწყვეტს 5 შილინგის გარდახდას და უკეთუ ამ ფულის გარდახდას ვერ შეძლებს, ხუთ დღეს უნდა ამტერიოს ქვა ქუჩაში.

მეორე საშუალება ჩემთვის მათხოვრობაც იყო; მაგრამ, რადგანაც კანონი სასტიკად სჯის მათხოვრებს, მე აღმოვიჩიე პირველი, ე. ი. სიმთვრალე.

რა ნაირად გახდებოდა კაცის მაწანწალად?

მე გაეგზავნე ჩემი ავეჯეული სასტუმროში, ჩავიდე ჯიბეში ცოტაოდენი წვრილი ფული და დავადექ გზასა.

შევედი ერთს სამიკიტნოში. ბევრი ხანი არ მოუნდი რომ შევეჭვიფიანებულვიყავ, ბოლოს სრულდებით დაეთვერი.

ჩემ განზრახვას მივიცა ჩემს მიერ მოთხოვნილზე უკეთესი შედეგი, რადგანაც ჩემთან ერთად მსმელებმა დაიწყეს ცემა, წამაქციეს, წამართვეს ის რაოდენიმე შილინგი, რომელიც ზედ მქონდა და დამტოვეს გამოჭლარტული ქუჩის ტროტუარზედ...

ცოტა ხანს შემდეგ მე შევამჩნიე, რომ ვიყავ ორ კარგათ დახელოვნებულ პოლიციის აგენტების ხელში. ამ თანამდებობის აღმასრულებლათ მითი ვსცანი ისინი, რომ უმოწყალოდ მიმართვედნენ ქალაქის ქუჩებში.

ბევრმა ხანმა არ გაიარა, რომ მე გაეხდი სტუმარი ერთის პატარა ოთახისა, რომელიც ძალიან ვიწრო და ძალიანაც ცივი იყო.

ჰერ მე მარტო ვიყავი ამ ოთახში; მაგრამ ჩემმა სიმართლემ ცოტა ხანს გასწია; რკინის კარი გაიღო და შემოვიდა ერთი იმნაირი სახის კაცთაგანი,



„ანზობენ აგრეთვე შეუალოვმა ისეთ ნაირად გაარიგა საქმე პეტერბურღში და ლონდონშიო, რომ ეს ორი სახელმწიფო უბრძოლველად შერიგდებიანო.“

რუსის ხომალდის „სიმბრიის“ ამერიკაში წასვლამ დიდი ყაყანი აღძრა, ჩადგან კაცმა არ იცოდა—თუ რა განზრახვით გაიგზავნა ამერიკაში ეს ხომალდი და ნიკი კაცი, რომელნიც იმაზე ისხდნენ. ახლა ცხადათ აღმოჩნდა, რომ რუსეთის განზრახვა იყო, ეყიდნა ამერიკაში მსწრაფლ მოსიარულე ხომალდები (კრეისერები), ინგლისის სავაჭრო ხომალდების დასაზიანებლად. სამი ხომალდი უკვე უყიდნია რუსეთსა და ორსაც კიდევ ჰყიდულობს.

7 მაისს მისულან მალტის კუნძულზე ორი ცეცხლის-გემი, რომლებშიაც მსხდარან ინდოეთიდან წამოსული ინგლისის ჯარები.

„რეიტერის სააგენტო“ გვაცნობებს შემდეგ ამბავს 8 მაისს სტამბოლიდან მიღებულს:

„ღეს ამბობენ აქ, რომ მშვიდობიანობის ჩამოგდების იმედი დაკარგულიაო. ბერმანის ელჩი, რომელსაც ყველაზე უფრო უნდა მშვიდობიანად საქმის გათავება და რომელმაც პოლიტიკურისა-ქმეების მდგომარეობა კარგათ იცის, ამბობს, რომ დღე-დღეზე ომის გამოცხადებას უნდა მოველოდეთო. პესტრის საელჩოშიაც ამ ჰაზრისანი არიან.“

ბაზეს „Indép. Belge“-ში იწერებიან ბერლინიდან:

„ამ უკანასკნელ დროს თითქო უფ-

რომლებსთვისაც მე წვალებულად გავხდი.

იმან შემომხედა სიმთვრალისგან ან-ღვრეული თვალითა და მითხრა:

- შენ რამ მოგიყვანა აქა?
- მთვრალი ვარ.
- ეს ძალიან დიდი სიძაგლობაა! შენ ცდილობ მოატყუო ერთი ამხანაგი! შურ-ღობისთვის ხარ, არა?

ამ რამდენიმე სიტყვის შემდეგ ის დავარდა ერთთ-ერთ საჯდომზე, რომელიც ოთახში იმყოფებოდა, და დაიძინა იმნაირათ, თითქოს თავის სახლში ყოფილიყო.

სანამ გათენდებოდა, ჩვენ გავხდით ხუთნი.

ჩემი განზრახვა სრულუბით აღმი-სრულდა; მხოლოდ, საუბედუროთ, მე შეესციდი დღის აღმორჩევაზე: შაბათის ღამე ყველაზე უკუდესი ღამე არის ამნაირ სახლში მიჩვეულ პირებისათვის, რადგანაც მოსამართლე კვირა დღეობით არ ასრულებს თავის თანამდებობას.

თქვენ შეგიძლიანთ წარმოიდგინოთ

რომ მომეტებული იმედია მორიგებისა. ამბობენ, რომ, თუ ინგლისი დათანხმდებოდა, რომ იმან და რუსეთმა ერთად გადაწყვიტონ აღმოსავლეთის საქმეები, რუსეთი თავის მხრით მზათ არისო, რომ ბათუმი აღარ მოსთხოვოს (მსმალეთს და მომავალი ბოლგარიის სამზღვარიც სანახევროდ შეაპვიროსო.“

როგორც რუსული გაზეთები გვაცნობებენ, იმ მსწრაფლ-მოსიარულე ხომალდების (კრეისერების) სასყიდლად, რომელთაც დანიშნულება იქნება, რომ ინგლისის სავაჭრო ფლოტს ზარალი მისცეს, მოსკოვში, პეტერბურღში და აგრეთვე სხვა ქალაქებში ორ მილიონამდინ მეტი მანეთი შეუწირავთ.

ტელეგრამამ შეგვაცხობინა ამას წინათ, რომ რუსების ჯარს ოთხ ვერსზე გაუწყვიტა სტამბოლისაკენ. ამ გარემოებას დაუფიქრა მსმალეთის მმართველობა და იმათაც რუსების დასახვედრად მზადება დაუწყიათ. მაგრამ დენ. ტოტლებენს გამოუცხადებია, რომ ჯარებს მხოლოდ იმიტომ გამოუცვალეთ ბანაკიო, რომ ძველს ბანაკში ცული ჰაეა იყო და ჯარი აეთ ხდებოდაო.

## ბანსხადებანი

თვილისის გუბარნიის თავად-აუნაშრთა

### საადგილ-მამულო ბანკისაგან

თვილისის თავად-აუნაშრთა საადგილ-მამულო ბანკის გამგეობა, უ-

ის ცული დღე, რომელიც კაცმა უნდა გაატაროს იქ. როდესაც დილით საქმის ამბარს გარემოებაში ყოფნა გავიგე, მე წარმოვიდგინე ჩემი მდგომარეობა ზედ დამატებით ამაზე სიცივისა და სიმშობისა და ის მდგომარეობა ვბოვე არა-ნაკლებ სასიამოვნო. ჩემმა თანამომხმეებმა ფილოსოფიურად გაშინჯეს ესა: ყველამ ამოიღო ჩიბუხები და დაიწყეს თავის შექცევა თამბაკოს მოწვეით.

პოლიციის აგენტი მოვიდა, დაგვხედა და ჩვენი ჯანმრთელობის მდგომარეობის შეტყობის შემდეგ, გამოგვიცხადა, რომ, უკეთუ საკმაო ფული გექონდა, ჩვენ შეგვეძლო მოგვეტანინებინა საუზმე იმ ყავახანიდამ, რომელიც იმყოფებოდა პოლიციის პირ-და-პირ.

მე მას უთხარი, რომ ფული არა მქონდა, და იმან სიცილით მიპასუხა, რომ, ლოთისთენ იმაზე მარგებელი არა იყო-რა, როგორც უზომობა და წმინდა წყალი.

მე ძალიან გავოცდი, რომ ჩემმა ძონძებში გახვეულმა ამხანაგებმა დაიბარეს კარგათ შემკული საუზმეები, და როცა

მალღესად დამტკიცებულის წესდების მე-16 მუხლის საფუძველზე, საქმეებს, რომ ამ 1878 წლის 22 თვეს შეწყვეტილ იქნა, თვილისში, ბანკის სადგომში, (სოლოლაკის ქუჩაზე, ნ. შორდანოვის სახლებში) მოხდება საქვეყნოთ ვაჭრობა მხოლოდ ერთხელ იმ ქვემო-მოყვანილ პირთა უძრავი მამულების გასასყიდლოთ, რომელთაც, ბანკის წესდების §§ 29, 30, 34 და 36 მუხლების თანხმად, არ შემოიტანეს აღნიშნულ ვადაზე ბანკიდან აღებულის ფულის სარგებელი:

სულხანოვიცის, ბაბრიელისა და მიხეილის იესესს ძეთ მამული: ოთხი დუქანი მიშენებული ოთახებით და ყოველ კუთვნილებით, ეზოთი და მიწით, სულ 36 ოთხ-კუთხი საყენი. მ. თვილისში, მეორე განყოფილების მე-14 უჩასტაკში.

მამულის ვალიარის—5,281 მ. შემოსატანი აქვს კიდევ—342 მან. 18კ. სულ—5,623 მან. და 18 კაპ.

ბურდულოვის, ალექსანდრე სოლომანის ძის, ორი დუქანი, თავის ბაკით, შენობით და ყველა კუთვნილებით, ეზოთი და მიწით, სულ 600 ოთხ-კუთხი საყენი. მ. თვილისში, მეორე განყოფილების მე-11 უჩასტაკში.

შალი 2,880 მან. და 55 კაპ., შემოსატანი აქვს კიდევ—183 მან. და 68 კაპ. სულ—3,064 მან. და 23 კაპ.

სულხანოვისა, მარიამ ივანეს ასული: ა) ერთ-ეტაჟიანი ქვითკირის დუქანი და ბ) ორი სამ-ეტაჟიანი ქვითკირის დუქანი, ორი ორ-ეტაჟიანი და თერთმეტი თითო ეტაჟიანი ქვითკირის დუქნები. მ. თვილისში, ა) პირველ განყოფილების მე-7 უჩასტაკში და ბ) მეორე განყოფილების მე-14 უჩასტაკში. ძაპიტალური ვალი მამულისა ირის—

მოუტანეს დაბარებული საქმელები, იმათ ამოიღეს ფული გასაკვირველი ალაგებიდან:

მრთსა ჰქონდა თავის შარვლის დასაკავებელი სარტყლის შიგნითა მხრით პაწაწა ჯიბებში, რომლებშიც ჩავიღოდა ერთი შილინგი; მეორემ ამოიღო თავის ქილგის სარჩულის ქვეშიდგან 2½ შილინგი; მესამემ ამოიღო 1 შილინგი ყელსახვევის ნაოჭიდგან.

ეს უკანასკნელი ჩემკენ მობრუნდა და მითხრა:

— თქვენ გაქვთ ორი პალტო, გაუგზავნეთ ერთი პირ-და-პირ მყოფ საქმლის გამყიდავ შედუქნეს, ის მაგას გაჰყიდის, იშოვნით საქმელს და რამოდენიმე ფული კიდევ დაგრჩებათ!

ჩემი პალტო მაშინვე გაემგზავრა გირათ გამსესხებელ სახლისკენ და მე მალე შევიძინე ერთი ჩინებული საუზმე და 4 შილინგი და 6 პენსა.

3. მ—შვილი  
(გაგრძელება)



